



საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
სატენდერო დოკუმენტაცია

ავიჯეულობის შესყიდვა.

CPV კოდი - 392

(ბამარტივებული ელექტრონული ტენდერი)

ქ.თბილისი კანდელაკის ქუჩა №12

სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- 1.2სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).
- 1.3ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
- 1.4სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.
- 1.5ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.
- 1.6 ამ ინსტრუქციის1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შეაძლებლობა.
- 1.7ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1(ერთი) პროცენტს.
- 1.8მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.
- 1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.
- 1.10ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით.
- 1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 1.12სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
- 1.13ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
- 1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა,რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
- 1.15დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი.დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში რჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.
- 1.16დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება

დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.21 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ).

ბ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

გ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

დ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.22 ამ ინსტრუქციის 1.20 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.23 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, “გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (არსებობის შემთხვევაში)

დ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.25 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.26 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

1.27 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.28 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.29 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ: გიორგი თითირაშვილი ტელ: 235-41-35-10 და 577 55-44-85; ქ. თბილისი კანდელაკის ქუჩა №12

2. დოკუმენტაცია.

2.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებს და ინფორმაციას:

2.1.1. ინფორმაცია საქონელის მიწოდების ვადების შესახებ;

2.1.2. ინფორმაცია ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;

2.1.3. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის სრული რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ელექტრონული მისამართი), ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ასლი,

2.1.4. ფასების ცხრილი.

შენიშვნა: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ნიმუში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

შენიშვნა: ყველა ატვირთული დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსული პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით:

3. ანგარიშსწორების პირობები.

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და სასაქონლო ზედდებულის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღე-ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

3.1.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო.

3.1.3 კონსიგნაციის ვადა – 20 კალენდარული დღე.

4.1 სატენდერო წინადადების ფასი.

4.1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.1.2 სატენდერო წინადადების საერთო და თითვეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია: მხოლოდ ლარში.

4.1.3 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებისმე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

4.1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობაა: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.

4.1.5 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის შემდეგი ფორმის გარანტია: ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული გარანტია.

4.1.6 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობაა: ხელშეკრულების ღირებულების 2%-ი.

4.2 საქონლის დასახელება, რაოდენობა და სავარაუდო ღირებულება

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (ტექნიკური პირობები)	განზომილება	რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	მათარა შალითით	წყალგაუმტარი ჩიხლით, მეტალის. მოცულობა: მათარა არანაკლებ 1000მლ. კარდალით	ცალი	1000	140 000	ქ. თბილისი ქ. ზვივის ქუჩა №1 - ში	ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში
2	თეთრეული	თეთრი ფერის, ქსოვილი ბამბის, (1 ბალიშის პირი, ზომა 55X65სმ, 2 ზეწარი ზომა 220X150სმ) ბამბა 100%	კომპლექტი	4,000.00			
3	დანა	დანა მრავალფუნქციური, კოვზით და ჩანგლით, უჟანგავი მეტალის.	ცალი	1,000.00			
სავარაუდო ღირებულების ჯამი: 140 000 ლარი							

შენიშვნა: გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მოწოდებული საქონლის ყოველი პარტია ტექნიკური შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმებული იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენ	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების გრაფიკი	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: პროდუქციის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს.

„დანართი“

1.პრეტენდენტის იურიდიული ფორმის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომრები:

ელექტრონული მისამართი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ხელმოწერა და ბეჭედი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2011

ერთის მხრივ _____

(შემდგომში „შემსყიდველი“)
(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს

მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“)
(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგ ზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე, _____

(საქონლის მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;
- გ) საქონლის მიწოდების გრაფიკი;
- დ) ტექნიკური პირობები;
- ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
- ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
- ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მომწოდებელი ორგანიზაცია:

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
მთავარი სამმართველოს უფროსი

დირექტორი

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს და მას შეიმუშავებს შემსყიდველი ორგანიზაცია. მისი შედგენის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო პირობები, ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის და შემსყიდველის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი საქონლის მიწოდება.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მეშვეობით ხორციელდება ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება, დაზუსტება და ცალკეული შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების დაკონკრეტება.

ხელშეკრულების სპეციფიკურ და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.

სპეციფიკური პირობების საბოლოო ვარიანტი, შესაძლებელია დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

(დახრილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შედგენის ინსტრუქციებს.)

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, მის. ქ. თბილისი, ს. კანდელაკის ქუჩა №12,

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ _____

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავეჯეულობის შესყიდვა.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც საფინანსო – სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო სამეურნეო სამსახურიდან და სასაწყობე სამსახურიდან გამოყოფს უფლებამოსილ პირს ან პირებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ან მისის ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისის ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწინაურებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნილ ტექნიკურ პირობებში აღნიშნულ პარამეტრებს.

5 ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა – სტანდარტული უნაღლო.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული პარტიის შემოტანიდან კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **20 დღეში**.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი მისაწოდებელ საქონელზე იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას განახორციელოს წუნდებული საოქნლის შეცვლა, აღდგენა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ

დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არა სრულად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2-თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარეგნის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს 2 %-ის ოდენობის საბანკო გარანტია.

10.2 გარანტია უკან დაუბრუნდება მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

10.3 გარანტია არ იქნება დაბრუნებული თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. დამატებითი პირობები

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი

შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ხუთ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

12.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

- 3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
- 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
- 4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შეფუთვა

- 5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ ზემოქმედებას, გადატვირთვის დროს ექსტრემალური ტემპერატურის, მარილების და ნალექის ზემოქმედებას, ასევე ღია ცის ქვეშ შენახვას.
- 5.2 შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთის გაბარიტები და წონა, მისი მარკირება და თანმხლები დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

- 6.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამოიყენის შესახებ მოყვნილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 6.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საქონლის გადატვირთვისას მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

- 7.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

8. თანმდევი მომსახურება

- 8.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.
- 8.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

9. სათადარიგო ნაწილები

- 9.1 შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მის მიერ წარმოებული ან სარეალიზაციო სათადარიგო ნაწილების შესახებ შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:
- (ა) იმ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურა და ღირებულება, რომლებიც შემსყიდველმა შეიძლება შეისყიდოს მიმწოდებლისაგან, რათა გამოიყენოს ისინი საგარანტიო ვადის დასრულების შემდეგ;
- (ბ) მიმწოდებლის მიერ სათადარიგო ნაწილების წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში:
- წინასწარ უნდა აცნობოს შემსყიდველს, წარმოების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, რათა მისცეს მას საშუალება განახორციელოს აუცილებელი შესყიდვები, საჭირო რაოდენობით;
 - აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოების შეწყვეტის შემდგომ, უფასოდ მიაწოდოს შემსყიდველს სათადარიგო ნაწილების გეგმები, ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 10.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების

სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

- 10.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 10.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 10.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

11. გარანტია

- 11.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.
- 11.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.
- 11.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
- 11.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ანგარიშსწორება

- 12.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 12.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

13. ანგარიშსწორების ვალუტა

- 13.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია)*.
- 13.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

14. ფასები

- 14.1 შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.
- 14.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 15.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 15.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების

მოთხოვნათა გათვალისწინებით. (3.08.2010 N 5)

15.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. უფლებების გადაცემა

16.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით უარსებული თავისი ვალდებულებები.

17. სუბკონტრაქტორები

17.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წიანდადებაში.

17.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

17.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

18. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

18.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

18.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

19. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

19.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200.000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. (3.08.2010 N 5)

19.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

19.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

20. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 20.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 20.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

21. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 21.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
- (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 21.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 21.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 21.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

22. ფორს-მაჟორი

- 22.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 22.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 22.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

23. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 23.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 23.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

24. გამოყენებული სამართალი

- 24.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

25. ხელშეკრულების ენა

- 25.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

26. შეტყობინება

- 26.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 26.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

27. გადასახადები და დაბეგვრა

- 27.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 27.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

ვის: _____
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ცალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

